



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეფეთა დივანი

„მეფეთა დივანი“, აფხაზეთის (დას. საქართველოს) მეფეთა ნუსხა (სია). დოკუმენტი აღმოაჩინა და შეისწავლა ე. თაყაიშვილმა. ტექსტი იყოფა სამ ნაწილად: შესავალი ეკუთვნის ბაგრატ „აფხაზეთა მეფის“ ძეს – კონსტანტინეს (ბაგრატ V-ის ძე; ე. თაყაიშვილი), სადაც მითითებულია, რომ ქუთაისის საჭურჭლეში ნანახი დაძველებული საბუთი მან ხელახლა გადააწერინა. მეორე ნაწილია ბაგრატ III-ის მიერ შედგენილი მეფეთა ნუსხა. დოკუმენტის ბოლოს მითითებულია ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის მეფობის ხანგრძლივობა (მიმატებულია შემდგომ „ქართლის ცხოვრების“ ცნობების მიხედვით, ე. თაყაიშვილი). „მ. დ-ში“ დასახელებულია 22 მეფე – პირველი მეფე ანოსიდან გაერთ. საქართველ. პირველ მეფემდე, ბაგრატ III-მდე (975–1014). აღნიშნულია მათი მეფობის რიგი და ნათესაობა (შვილი, ძმა). მეთერთმეტე მეფიდან – ლეონ I-იდან მოყოლებული მითითებულია თითოეულის მეფობის ხანგრძლივობაც. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, „მ. დ.“ უნდა იყოს ე. წ. „აფხაზეთის ისტორია“, რ-ითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს თავისი „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიის“ შედგენისას.

ძეგლი მოღწეულია XVIII ს. ნუსხით. დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში.

ლიტ.: გ ლ ო ვ ე ლ ი შ., „მეფეთა დივანი“ როგორც საისტორიო წყარო, „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, 2009, №11; თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა..., მის წგ.: საისტორიო მასალანი, ტფ., 1912.

კ. გრიგოლია